საქართველოს მთავრობის

დადგენილება №87

2025 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (13/12/2024 წ., №115-Iმს-XIმპ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2012, 010240010.10.003.017063) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“:

1. პირველი მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ახორციელებს აქციონერის/ პარტნიორის უფლებამოსილებას მის მართვაში არსებულ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის წარმოებისა და ვაჭრობის განმახორციელებელ შემდეგ საწარმოებში:

ა) შპს ენგურჰესი (ს/ნ: 251716371);

ბ) სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ს/ნ: 205170036);

გ) სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (ს/ნ: 206237491).

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებულ აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილებას სააგენტო ახორციელებს სამინისტროსგან, საქართველოს მთავრობისა და სხვა სახელმწიფო უწყებისგან დამოუკიდებლად და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება სამინისტროში ან საქართველოს საერთო სასამართლოში, გარდა სახელმწიფო საწარმოს აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებისა, რომელიც საქართველოს საერთო სასამართლოში საჩივრდება.“.

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 29 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**